საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კულტურის სტატისტიკის ზოგიერთი მაჩვენებელი 2018

14.06.2019
www.geostat.ge

14.06.2019

კულტურის სტატისტიკის მაჩვენებლები, 2018 წელი

პროფესიული თეატრები

2018 წლის მონაცემებით, საქართველოში 49 პროფესიული თეატრი ფუნქციონირებდა. აქედან, 38 ერთეული იყო დრამის, მუსიკალური კომედიის და მინიატურების, 7 - თოჯინების, 2 - ბავშვთა და მოზარდმაყურებელთა, ხოლო 2 ერთეული წარმოადგენდა ოპერისა და ბალეტის თეატრს.

პროფესიული თეატრების რაოდენობა ტიპების მიხედვით
2018 წ., ერთეული



2018 წელს საქართველოში ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა 4 764 ერთეულით განისაზღვრა, რაც 1.3%-ით ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. სპექტაკლების 60.2% მოდიოდა ქ. თბილისზე.

ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, ერთეული



* აფხაზეთის არ, გურია, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მაყურებელთა რიცხოვნობას რეგიონების მიხედვით, 2017-2018 წლებში:

მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, ათასი კაცი



მუზეუმები

2018 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 248 მუზეუმი, საიდანაც 98 ერთეული (39.5%) წარმოადგენდა მემორიალურს, 71 ერთეული (28.6%) იყო ისტორიული (მხარეთმცოდნეობის), ხოლო 2 მათგანი-ლიტერატურული.

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა 2018 წელს, ერთეული



2018 წელს მოქმედი მუზეუმების 23.4% (58 ერთეული) ქ. თბილისშია განთავსებული, 14.9% (37 ერთეული) იმერეთის რეგიონში, 13.7% (34 ერთეული) კახეთში. ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილებას რეგიონების მიხედვით.

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა
რეგიონების მიხედვით 2018 წელს, ერთეული



მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხოვნობა 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით 10.7%-ით გაიზარდა და 2114.7 ათასი შეადგინა. ამასთან, ერთ მუზეუმზე საშუალოდ 8527 დამთვალიერებელი მოდიოდა.

იმავე პერიოდში 7.1%-ით გაიზარდა მუზეუმებში ექსკურსიების, ხოლო 6.5%-ით გაიზარდა გამოფენათა რაოდენობა და 1146 ერთეული შეადგინა.

საკონტაქტო პირი:
ირმა გვილავა, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (608).
E-mail: igvilava@geostat.ge